მონაწილეობის კულტურა, ბისმარკი და გერმანიის გაერთიანება

ექსპერტი 1 – სახელმწიფო ინტერესები

გერმანიის გაერთიანების მთავარი მამოძრავებელი ძალა პრუსიის სახელმწიფო ინტერესები იყო. ქვეყნის მთავარი ამოცანა გერმანული სამთავროების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება და ძლიერი იმპერიის შექმნა გახლდათ. ამ მიზნის მისაღწევად საჭირო იყო ავსტრიის გავლენის შემცირება და საფრანგეთის წინააღმდეგობის დაძლევა, რის გამოც ბისმარკმა დიპლომატიური ნაბიჯები სამხედრო მოქმედებებთან წარმატებით დააკავშირა.

ბისმარკისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფოს სარგებელი იყო. 1863 წლის პოლონეთის აჯანყების დროს მან რუსეთს მხარი დაუჭირა, რათა მომავალში რუსეთის ნეიტრალიტეტი შეენარჩუნებინა. ასევე, იტალიასთან დადებული შეთანხმებით ავსტრიის წინააღმდეგ ძლიერი მოკავშირე მოიპოვა. სწორედ ამ გააზრებულმა პოლიტიკამ და ომებში მიღწეულმა გამარჯვებებმა გერმანიის გაერთიანებასა და იმპერიის შექმნას შეუწყო ხელი.

ექსპერტი 2 – პოლიტიკური ელიტის რაციონალური არჩევანი

გერმანიის გაერთიანება პრუსიის პოლიტიკური ხელმძღვანელობის წინასწარ დაგეგმილი პოლიტიკის შედეგი იყო. ბისმარკსა და მის თანამოაზრეებს სურდათ როგორც სახელმწიფოს გაძლიერება, ისე საკუთარი პოლიტიკური პოზიციების განმტკიცება.

ყველა მნიშვნელოვანი ნაბიჯი კარგად იყო გააზრებული. ავსტრიასთან ომამდე ბისმარკმა რუსეთის ნეიტრალიტეტი უზრუნველყო, იტალია მოკავშირედ გადაიბირა და საფრანგეთი დროებით იზოლაციაში მოაქცია. საფრანგეთთან დაპირისპირებისას კი ისეთი ვითარება შექმნა, რომ აგრესორის როლი სწორედ საფრანგეთს მიეწერა. ამან პრუსიას საერთაშორისო მხარდაჭერა და მნიშვნელოვანი უპირატესობა მოუტანა.

ექსპერტი 3 – საზოგადოების მოთხოვნა

გერმანიის გაერთიანება მხოლოდ ხელისუფლების ინიციატივა არ ყოფილა. მოსახლეობის დიდი ნაწილი დიდი ხნის განმავლობაში ერთიანი გერმანული სახელმწიფოს შექმნას ემხრობოდა.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანული მიწები სხვადასხვა სახელმწიფოდ იყო დაყოფილი, ხალხს საერთო ენა, კულტურა და ისტორია აერთიანებდა. ნაპოლეონის ომების შემდეგ ეროვნული ერთიანობის იდეა კიდევ უფრო გაძლიერდა. ამ იდეას ავრცელებდნენ ინტელიგენცია, სტუდენტები და მწერლები. ბისმარკმა ეს საზოგადოებრივი განწყობა საკუთარ პოლიტიკაში წარმატებით გამოიყენა, ხოლო სამხედრო გამარჯვებებმა ეროვნული ერთიანობის სურვილი კიდევ უფრო გააძლიერა.

ექსპერტი 4 – კულტურა და ღირებულებები

გერმანიის გაერთიანებაში მნიშვნელოვანი როლი გერმანელი ხალხის ღირებულებებსა და ტრადიციებსაც ეკავა. საზოგადოებაში დიდად ფასობდა დისციპლინა, შრომისმოყვარეობა, წესრიგი და ძლიერი სახელმწიფოს იდეა.

პრუსია გამოირჩეოდა ძლიერი არმიითა და მკაცრი მმართველობით, რასაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დადებითად აფასებდა. ხალხი მზად იყო გარკვეული სირთულეებიც გადაეტანა, თუ ეს ქვეყნის გაძლიერებასა და ეროვნული ერთიანობის მიღწევას ემსახურებოდა. საერთო კულტურამ და ეროვნულმა თვითშეგნებამ ბისმარკის პოლიტიკის წარმატებას მნიშვნელოვანი საფუძველი შეუქმნა.

ექსპერტი 5 – საერთაშორისო სისტემა

გერმანიის გაერთიანებაზე გავლენა არა მხოლოდ შიდა პროცესებმა, არამედ საერთაშორისო გარემომაც მოახდინა. ბისმარკმა ევროპის სახელმწიფოებს შორის არსებული ძალთა ბალანსი საკუთარი მიზნების სასარგებლოდ გამოიყენა.

რუსეთთან კარგი ურთიერთობები პოლონეთის აჯანყების პერიოდში გაწეული მხარდაჭერის შედეგად ჩამოყალიბდა. ინგლისი პრუსიის გაძლიერებას საფრანგეთის გავლენის შებღუდვის საშუალებად მიიჩნევდა, ხოლო იტალია ავსტრიის წინააღმდეგ პრუსიას ვენეციის მიღების იმედით შეუერთდა. შედეგად, პრუსიის მოწინააღმდეგეები იზოლაციაში აღმოჩნდნენ, რამაც გაერთიანების პროცესს ხელი შეუწყო.

ექსპერტი 6 – ნაციონალიზმის იდეა

გერმანიის გაერთიანების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი ნაციონალიზმის გავრცელება იყო. ფართოდ დამკვიდრდა შეხედულება, რომ საერთო ენის, ისტორიისა და კულტურის მქონე ხალხი ერთ სახელმწიფოში უნდა ცხოვრობდეს.

ეს იდეები განსაკუთრებით აქტიურად ვრცელდებოდა სკოლებში, უნივერსიტეტებში, პრესასა და ლიტერატურაში. მიუხედავად იმისა, რომ ბისმარკი უფრო პრაქტიკული პოლიტიკის მომხრე იყო, მან ეროვნული გრძნობები საკუთარი მიზნების მისაღწევად ეფექტურად გამოიყენა. ავსტრიასთან და საფრანგეთთან ომები ეროვნული ინტერესების დაცვის ბრძოლად წარმოაჩინა, რამაც გაერთიანების პროცესი დააჩქარა.

ექსპერტი 7 – მატერიალური შესაძლებლობები

გერმანიის გაერთიანება პრუსიის ეკონომიკური და სამხედრო სიძლიერის გარეშე ვერ განხორციელდებოდა. ქვეყანას გააჩნდა საკმარისი რესურსები, რომლებიც წარმატების საფუძვლად იქცა.

მრეწველობის განვითარებამ, რკინიგზების გაფართოებამ და ძლიერი ფინანსური ბაზის არსებობამ თანამედროვე არმიის შექმნა შესაძლებელი გახადა. ბისმარკი სამხედრო მოქმედებებს მხოლოდ მაშინ იწყებდა, როცა გამარჯვების რეალური შანსი ჰქონდა. ავსტრიასა და საფრანგეთზე გამარჯვება სწორედ ძლიერი ეკონომიკის, ტექნიკური განვითარების და კარგად ორგანიზებული არმიის შედეგი იყო.

მარიამ მეტრეველი